# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 331. კვირა, 17 ივლისი 1905 წ. გაზეთის № 2864.

# ხმა ცხოვრებისა

**კნუტ ჰამსუნისა**

(თარგმანი გერმანულიდან)

ჩემმა მეგობარმა, მწერალმა ჰ***-მ მიამბო: კოპენჰაგენის შიდა ნავთსადგურის გასწვრივ მიდის ერთი ქუჩა, რომელსაც ესტაოლდს ეძახიან. იქ ნაკლებადაა სახლები, ნაკლებადაა ფარნები, ადამიანს კი თითქმის ვერც ერთს ვერ დაინახავთ. ზაფხულშიაც იშვიათად მოხდება, რომ იქ ვინმემ გაისეირნოს.

ჰოდა, გუშინ-წინ საღამოს იმ ქუჩაზე ერთი რამე შემემთხვა. მინდა გიამბო, რაც გადამხდა. რამდენჯერმე გავიარგამოვიარე ტროტუარზე, რომ ამ დროს ერთი მანდილოსანი ჩემსკენ გამოემართა. იმის გარდა არც ერთი ადამიანი არა სჩანდა. ფარნები ენთო, მაგრამ ბნელოდა და შემეძლო გამერჩია მანდილოსნის სახე. ღამის ჩვეულებრივი არსება იქნება მეთქი,—გავიფიქრე და გვერდს ავუარე.

ბულვარის ბოლოში უკან დავბრუნდი. მანდილოსანიც დაბრუნდა. მე ხელახლა შევხვდი. ჩემთვის გავიფიქრე: „ეს ქალი უთუოდ ვინმეს ელოდება; ვნახოთ მაინც ერთი, ვის ელის“, და ხელმეორედ ავუარე გვერდს.

როცა მესამედ შევხვდი, ვიტაცე ქუდს ხელი და დაველაპარაკე:

— საღამო მშვიდობისა! ხომ არავის მოელით?

შეკრთა.

— არა... ჰო, მოველი...

გამოველაპარაკე. ვკითხე—წინააღმდეგი ხომ არ იქნება საზოგადოება გავუწიო იმ დრომდე, ვიდრე ის მოვა, ვისაც ელის? არა, არა აქვს-რა საწინააღმდეგო. მადლობა გადამიხადა და თან დაუმატა, რომ არავის მოველი, მე აქ მხოლოდ ცოტას ვსეირნობ, რადგან ასეთი სიწყნარეაო. ჩვენ გავსწიეთ და დავიწყეთ ერთმანეთთან უმნიშვნელო საგანზე მუსაიფი. მე გავუწოდე ხელი.

— აჰ, არა!—სთქვა იმან და თავი გააქნია.

მომწყინდა. წყვდიადში არ შემეძლო მისი გარჩევა, ამიტომ წუმწუმას მოვუკიდე, ვცდილობდი, როდესაც საათს დავხედე, ისიც გამენათებინა.

— ათის ნახევარია!—ვთქვი მე.

იმას გააკანკალა, თითქო სცივაო. ვისარგებლე ამ შემთხვევით და ვკითხე:

თქვენ გცივათ, არ ინებებთ საითმე წავიდეთ და რამე დავლიოთ? მაგალითად „ტივოლი“-სა ან „ნაციონალ“-ში?

— არა, ეხლა როგორც ხედავთ, არსად შემიძლიან წამოსვლა, მიპასუხა იმან.

მხოლოდ ეხლა შევამჩნიე, რომ გრძელ, ძაძა პირბადეს ატარებდა.

ბოდიში მოვიხადე და ბრალი სიბნელეს მივაწერე. იმისმა ქცევამ ხელად დამარწმუნა, რომ იგი ჩვეულებრივ ღამის მოტრფიალეებს არ ეკუთვნოდა.

— ინებეთ ჩემი ხელი.—ვუთხარი ხელახლა,—გაგათბობთ.

რამდენჯერმე ხელი-ხელ გაყრილნი ავიარეთ და ჩავიარეთ. მთხოვა საათისთვის დამეხედა.

— ათზე მეტია,—ვუთხარი,—სადა სცხოვრობთ?

— გამლე კონგეფეიზე.

მე შევაჩერე.

— ნებას მაძლევთ მიგაცილოთ?



ქანდაკება როდენისა

— არა, არ მოხერხდება,—მიპასუხა,—არ შეიძლება... თქვენ ბრედგადში სცხოვრობთ?

ეროვნული ბიბლიოთეკა



**ლოცვა.**—სურათი ჟერომისა.

— საიდან იცით?—ვკითხე გაოცებულმა.

— ვიცი, ვინცა ხართ.

სიჩუმე ჩამოვარდა. გავიარეთ მცირე მანძილი, განათებულ ქუჩაში შევუხვიეთ. ის ჩქარა მიდიოდა, გრძელი პირბადე უფრიალებდა. იმან მითხრა:

— გთხოვთ, ჩქარა ვიაროთ.

თავის სახლის კარებთან მომიბრუნდა, თითქო გაცილებისთვის მადლობის გადახდა უნდაო. კარები გავუღე, ნელა შევიდა და ჩემსკენ გამოიხედა. მეც მივადე მხარი კარებს და შევედი იმის შემდეგ. მოულოდნელად სტაცა ჩემ ხელს. არც ერთს ჩვენგანს სიტყვა არ დაუძრავს.

ავედით ორიოდე კიბე და გავჩერდით მეორე სართულში. ქალმა გააღო ერთი კარი, შემდეგ მეორე, მომკიდა ხელი და შემიყვანა შიგნით. აქ ოთახი უნდა ყოფილიყო, საათის კაკუნი მომესმა. ქალი ერთ წამს კარებში შეჩერდა, მერე უცბად მომეხვია და ვნებით და ართოლვით ტუჩებში მაკოცა.

— დაბრძანდით, —მითხრა მან.—აგერ სოფაა; მე ლამპას ავანთებ.

სინათლეზე ცნობის მოყვარეობით მივიხედ-მოვიხედე. ჩვენ ვიყავით დიდ მეტად ლამაზად მოწყობილ ოთახში. მეზობელ ოთახებისაკენ კარები ღია იყო. ვერ გავიგე, რა ადამიანის შვილი იყო ჩემი მასპინძელი; მე ვთქვი:

— რა მშვენივრებაა აქ! აქა სცხოვრობთ?

— დიახ, ეს ჩემი ბინაა. მიპასუხა.

— თქვენი ბინა? მაშ აქ ბინადარის ქალი ბრძანდებით?

გაიცინა და სთქვა:

— არა, არა, მე ბებერი ქალი ვარ. ეხლავე დაინახავთ!

— და მოიხადა შლიაპა პირბადითურთ.

— აბა, ხომ ჰხედავთ?—სთქვა მან და ხელახლა მომეხვია სწრაფად, ვით დაუწყნარებელ ვნებით გატაცებული.

დიდი, გადარეული ბავშვი! იგი ოცდაორის თუ ოცდა სამის წლისა უნდა ყოფილიყო. მარჯვენა ხელზე საქორწინო ბეჭედს ატარებდა და შესაძლებელი იყო, მართლაც, გათხოვილი ყოფილიყო. ლამაზი მაინც და მაინც არ იყო, ქორფლი ჰქონდა და წარბები თითქმის სულ არ უჩანდა. მაგრამ მასში სიცოცხლე სდუღდა.

მინდოდა მეკითხა, რა ჰქვიან, სადა ჰყავს ქმარი; მინდოდა გამეგო, ვის სახლში ვიყავი. მაგრამ არ მაცლიდა: როგორც კი პირს გავაღებდი, მიკრძალავდა ლაპარაკს.

— მე მქვიან ელლენ,—სთქვა იმან.—იქნება ცოტა რამეს მიირთმევთ? არა უშავს რა, მე დავრეკამ, თქვენ კი მანამდის აი იქ უნდა შეხვიდეთ, საწოლ ოთახში.

შევედი საწოლ ოთახში. იმ ოთახიდან, საიდანაც გავედი, სინათლის შუქი შემდიოდა. დავინახე ორი ლოგინი. ელლენმა დარეკა და მოითხოვა ღვინო. მესმოდა როგორ შემოიტანა გოგომ ღვინო და გავიდა გარედ. ცოტა ხნის შემდეგ მოადგა ელლენიც თავის საწოლ ოთახს. კარებში შეჩერდა. გადავდგი ფეხი, იმან ოდნავ შეჰკივლა და ჩემსკენ გამოსწია.

ეს ამბავი გუშინწინ სალამოს შემემთხვა.

— რა მოხდა შემდეგ? ცოტა მოთმინება იქონიე. გუშინ დილას, როცა გამოვიღვიძე, რაჟრაჟი იყო, დღის სინათლე შემოდიოდა ოთახში ფარდის ორსავე მხრიდან. ელლენსაც გაჰღვიძებოდა, ოხრავდა დაღალული და მიღიმებდა. იმისი მკლავები ხავერდსა ჰგავდა. თან და თან თენდებოდა.

ორი საათის შემდეგ ფეხზე ვიყავი. ელლენიც ადგა. როდესაც ტანისამოსს ვიცვამდი, ვნახე ისეთი რამ, რაც ეხლაც მაძრწუნებს. მე პირსაბანთან ვიდექი, ელლენს რაღაც საქმე ჰქონდა გასაკეთებელი მეზობელ ოთახში. როცა კარები გააღო მოვბრუნდი და შიგნით შევიხედე. ცივმა სიომ დაუბერა გაღებულ ფანჯრებიდან. ოთახის შუაში, გძელ მაგიდაზე, დავინახე ცხედარი. გვამი, რომელიც კუბოში ესვენა, იყო თეთრწვერა მამაკაცისა. გამხდარი მუხლები მაღლა ჰქონდა აშვერილი, თითქო ორი მუქარა მუშტიაო. გვამზე სუდარა ჰქონდა გადაფარებული. სახე მთლად გაჰყვითლებოდა, ყოველივე ეს დღის სინათლეზე დავინახე.

როცა ელლენ დაბრუნდა, ჩაცმული და წასასვლელად გამზადებული ვიყავ. ძლივს შევიძელ იმის მოხვევაზე პასუხის გაცემა. იმან ჩაიცვა და ქისკრამდის ჩამომყვა. ქისკართან წამჩურჩულა:

— ნახვამდის!

— ხვაალ?—ვკითხე პირდაპირ.

— არა, ხვალ არა!

— რატომ?

— გაჩუმდი, ძვირფასო, ხვალ დასაფლავებაზე უნდა წავიდე, ერთი ჩემი ნათესავი მოკვდა. ეხლა ხომ გაიგე?

— ზეგ?

— ჰო, ზეგ, აი აქ დაგიცდი. მშვიდობით!

მე წავედი. ვინ იყო ის ქალი, ან ის მიცვალებული? ზეგ მომელოდა ხელ-ახლა. წავსულიყავ კიდევ იმასთან?

მე გავწიე კაფე ბერნინასკინ და ადრესების წიგნი მოვითხოვე. გადავშალე, ვიპოვნე გამლე კონგეფეი, ესა და ეს ნომერი; ვხედავ გვარს და ვიცი რა ჰქვიან ელლენს. ვიცდი ცოტა ხანს, ვიდრე დილის გაზეთი მოვა, რომ გადავათვალიერო სამგლოვიარო განცხადებანი. დიაღ, ვიპოვნე პირველ გრძელ რიგში, მსხვილის ასოებით: ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა გუშინ ჩემი ქმარი, 53 წლისაო. განცხადებას გუშინდელი რიცხვი აზის.

დიდხანს ვიჯექი და ვფიქრობდი.

კაცსა ჰყავს ცოლი; იგი ოცდა ათის წლით უფროსია, დიდ ხანს ავად არის და ერთ დღეს წუთი-სოფელს ესალმება. ახალგაზდა ქვრივი ამოისუნთქავს თავისუფლად, ცხოვრება ეძახის, მისდევს იმის ხმას და პასუხს აძლევს: მოვდივარო.

**ირ. მჭედლიშვილი.**

# პირველი კოცნა

**ვ. დოროშევიჩისა**

ქალბატონო!

თქვენა გსურთ, გიამბოთ, როგორ გაჩნდა პირველად კოცნა ქვეყანაზედ?

ამ ხელად მე დიდის სიამოვნებით შევასრულებ თქვენს თხოვნას, მით უმეტეს, რომ ამას წინად ვიყავ ინდოეთში, სადაც გავიგონე ლეგენდა კოცნის გაჩენის შესახებ.

დიახ, კოცნა, როგორც მრავალი სხვა, პირველად ინდოეთში გაჩნდა და ის ქალიშვილი, რომელსაც პირველად ამოხდა კოცნა იყო მზეთუნახავი ლოტოსი.

ის იყო ყველაზედ უფრო ლამაზი ბომბეის ქალებს შორის. ქვეითნი და მხედარნი, მოშაირენი და მგალობელნი, ახალგაზრდანი და ხანში შესულნი ყველანი გიჟდებოდნენ იმის სილამაზისაგან და მოწიწებით ფიანდაზად ეშლებოდნენ.

მხოლოდ ერთად - ერთმა კერპმა მთელს ბომბეიში არ დაჰკარგა ჭკუა მისს სილამაზისაგან.

აი რა ჩასწერა ერთს დღეს ლოტოსმა თავისს დღიურში (ინდოეთში ყველა ქალიშვილს თავისი დღიური აქვს).

„დღეს საშინელი სიზმარი ვნახე.

„ვნახე, ძველი დაბურული ბაღი, რომელშიაც ხავს მოკიდებული სკამები იყო ჩამწკრივებული. მზის სხივებისაგან დამწვარი, მეც იქ მისულიყავ ჩეროში გასაგრილებლად და ჩემის თაყვანისმცემელთა არშიყობისაგან გაბეზრებული ცოტას ხანს შესასვენებლად.

„მზე იწვერებოდა.

ვილაცა გამოჩნდა გზაზედ. ფიცხლავ ზეზე წამოვიჭერ. ის იყო კერპი ჩვენის ტაძრისა.

„ის არა ჰგავდა იმათ, რომელთაც მე გამოვექეც.

„ის თვით არავის იყვარებდა, მაგრამ სურდა კი, რომ სხვებს ყვარებოდათ იგი.

„ის პირველს ნაბიჯს თვით არასდროს არ გადასდგამდა ხოლმე.

მიუხედავად ამისა მე, როგორც ვატყობდი, მოვწონდი, ცოტათი მაინც.

„კერპს მოვწონდი? მაგრამ, ეს ხომ სიზმარში იყო!

„და ეს თავბრუს მასხავდა. იმიტომ რომ ის იყო კერპი, მარჩიელი და ღმერთი.

„მისი ეშინოდა ხალხს.

„სიზმარში მეჩვენებოდა, ვითომ მე ყოველსავე საშუალებას ვხმარობდი, რომ მისთვის გრძნობათა ღელვა რაც შეიძლება უფრო ამეშალა.

„მე იმასთან ცხარე საუბარი გავმართე და თამამადა და მოურიდებლად დავუწყე ლაპარაკი.

ჩვენ ერთი ხის ახლოს ვიდექით. მანძილი ჩვენ შორის თან თან ცოტავდებოდა.

„როდესაც იმ სიშორეზედ მივუახლოვდი, რომ მისი ამოსუნთქვა მესმოდა, თვალებში ყოველი მისი აზრი და გრძნობა ამოვიკითხე... იმის ტუჩებზედ ღიმილი აღარა კრთოდა. მზის უკანასკნელი სხივებით გაბრწყინვებულმა თავი გვერდზედ გადავიხარე და მის მხარს ოდნავ შევეხე.

„იმან საჩქაროდ თავი გაიქნია, გაიღიმა, ხელი ხელს მაგრა მომიჭირა და მითხრა:—უნდა თავს უშველო! დღეს მეტად მშვენიერი ხარ, თვალთმაქცო ლოტოსო.

„მე ხეს მივეყრდნე.

„დიახ, კმაყოფილი ვარ, კმაყოფილი, რომ იმან არ დაჰკარგა ინტერესი ჩემ თვალში“.

საშინელებაა! გამოღვიძების შემდეგ ალაფერზედ არ შეეძლო ლოტოსს ფიქრი, გარდა კერპისა. ეს ისევე ჰგავდა სიყვარულს, როგორც ცნობის მოყვარეობას. ესეც კია, ვინ მიჰხვდება ქალის გულს, სად იწყება პირველი და თავდება



„**ხარჯი**“.—სურათი პიკურევისა.

უკანასკნელი. ვინ იცის. რომელი ძალა მოქმედებს ქალში, სიყვარული თუ ცნობის მოყვარეობა, როდესაც იგი პირველად გულს ეკვრის მამაკაცს?

ათთრთოლებული ლოტოსი შევიდა ჩამობნელებულს ტაძარში, სადაც უსიცოცხლო კერპი ესვენა,—რომელიც სიზმარში ეჩვენა. კერპს ტუჩებზედ ის უცნაური, გაუგებარი ღიმილი უკრთოდა, რომელიც საზოგადოდ სჩვევიათ ინდოეთის ღმერთებს და რომელშიაც რაღაც დაცინვა გამოიხატება კაცობრიობისადმი.

ლოტოსი ანგარიშ მიუცემლად მიუახლოვდა კერპს და პირის-პირ დაუდგა. იმას რაღაც ძალა იზიდავდა ამ უსიცოცხლო კერპისაკენ. როგორ ჩაედგა მისთვის სული?

ლოტოსი თან თან უახლოვდებოდა და გრძნობდა, იმას სუნთქვისათვისაგან როგორ თბებოდა ქვის კერპი.

მისი ტუჩები თითქმის ეხებოდნენ კერპს. თითქმის... ლოტოსამ იგრძნო, რომ კერპის ტუჩები შეეხო მის ბაგეს.

ეს ლოტოსი კიარა, თვით კერპი შეეხო მის ნორჩ ბაგეს, აკოცა.

ქალიშვილმა ოდნავ წამოიკივლა და უკან გადმოხტა...

კერპს თვალები ანთებოდა. წითური ლოყები გაჰფითრებოდა. ოდნავაც აღარ იღიმებოდა.

ტაძრის დუმილი უცებ დაირღვა. კერპს ხელიდგან მახვილი და გვირგვინი გავარდა და ძირს ქვის იატაკზედ ბრახვანი მოიღო. კერპმა ხელები გაიწოდა ლოტოის გულში ჩასაკვრელად.

მაგრამ ცქვიტი ლოტოსი მარდად გაუსხლტა კერპის ბჭყალებს და შორიდან სიცილ-კისკისით მიაძახა:

—ეხლა კი მივხვდი, რომ შენ ისეთივე ყოფილხარ, როგორც სხვანი და არაფრით არ განსხვავდები უბრალო მომაკვდავთაგან. გმადლობთ, პირქუშო ღმერთო წუთიერ გრძნობისა და სურვილისათვის, შენ მომეც საშუალება ჰკუაზედ შევშალო ღმერთებიც კი.

კერპი ისევ უძრავად იდგა და ჩვეულებრივი უცნაური ბოროტი ღიმილი ხელახლა უკრთოდა ლოყებზედ. იგი ამ ჟამად დასცინოდა ყოველივეს დ̃, ვინ იცის, თავის თავსაც.

ასეთი იყო პირველი კოცნა.

როგორცა ჰხედავთ, ქალბატონო, კოცნა დანიშნული იყო ღმერთთათვის დ̃ არა კაცთათვის. კაცთათვის ეს ძლიერი საშუალებაა და აი სწორედ ამის გამო ეკარგება კოცნისაგან მრავალს გონება.

ვიქონიოთ კეთილი გონიერება.

კმაყოფილნი ვიყვნეთ მარტო-ღა შეხედვით, ხელის ჩამორთმევით.

კოცნა კი შეუფერხებელია და თავგზის ამრევია ჩვენთვის.

**ზ. ედილი.**




კარგა ხანია უნდა მოგვეშორებინა ეს ნაგავი!



— ეური მიგდეთ, პატარებო, პატარები კარგა უნდა მოიქცეთ, რომ დიდრონებიც კარგები იყვნეთ, თორემ რის იმედი უნდა ჰქონდეთ თქვენ მშობლებს? აბა მითხარით?

— რისა?.. ჩვენისთანა პატარა ემაწვილებისა.



**ბიძა.** — მიტო, თუ ღმერთი გწამს მოჭკვიანდი, ვალები ადამიანს ჰღუპავს...

**ძმისწული.** —სრულიადაც არა, ბიძაჩემო, ვალების გადახდა ჰღუპავს ადამიანს და არა ვალების აღება.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. გ. ჯაბადარი**

Доз. ценз. Тифлисъ 15 іюля 1905 г. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომც. ქართ. ამხ—ბა.